1-ს ნოემბერს    წელიწადი მეორე.    1884 წელსა.

# მწყემსი

№ 21.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: კვირა-უქმე დღეებში განსვენების შესახებ. — ყოფაქცევა კრებულთა რჯულის კანონით. — ლეჩხუმიდამ, — ბიბლიოგრაფიული შენიშვნა. — ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში XIV. — არხეოლოგიური ცნობები. — სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები. — სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე. — სწავლა პირველი საქართველოს ექსარხოსის არხიეპისკოპოსის ვარლამის მიერ. — მესამე ფსალმუნი დავითისა. — განცხადებანი.

## კვირა-უქმე დღეებში განსვენების შესახებ.

### I.

Ძოველს ადგილას და ყველასგან ისმის დღეს საჩივარი კვირა-უქმე დღეების დარღვევაზე. Დღეს თითქმის ყველგან ამაზე ლაპარაკობენ ჩვენში და, ჩვენის მხრითაც, ნამეტნავად და უადგილოდ არ მიგვაჩნია ამის შესახებ ორიოდე სიტყვის გამოთქმა.

Პირველად უნდა მოვაგონოთ ყველას, რომ კვირა დღე და კვირა დღეს მუშაობისაგან განსვენება დაწესებულია Ღვთისაგან ძველ აღთქმაშივე; თვით Ღმერთმან დაუწესა ხალხს შაბათი განსვენებისათვის, რომლის ნაცვლად ჩვენ ქრისტიანებს გვაქვს დადებილი უქმედ კვირა დღე, პირველი შაბათი. Ჩვენ ყველანი ვალდებული ვართ Ღვთის კანონით, Ღვთის სჯულით შევინახოთ კვირა დღე, ვიუქმოთ იგი. Ამას გარდა კვირა დღის უქმობა მიუცილებელად საჭიროა ჩვენის სხეულისათვის: კვირა დღე დაწესებულია კაცის ცხოვრებისათვის, როგორც მისთვის საჭირო ფიზიკურად და ზნეობითად.

Კაცის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ არც ერთი იარაღი არ მოინახება მის სხეულში, რომ რამდენიმე ხნის მოქმედებისა ის არ ისვენებდეს; უამისოთ კაცის სიცოცხლეც შეუძლებელი იქნებოდა, ის დიდ ხანს ვერ გასძლებდა...

Ჟყუვილად ფიქრობენ უქმის მტეხელნი სიმდიდრის შეძინებას. Აბა, მივიხედ-მოვიხედოთ ქვეყანაზე, რომელი ხალხი უფრო მდიდარია დედა-მიწაზე? Ყველა ხალხებში მდიდრები არიან, როგორც ეს ცხადათ და აშკარად შეტყობილია, ინგლისელები და ამერიკელები. Და როგორ ინახვენ ამ ქვეყნებში კვირა დღეს; ამ ქვეყნებში კვირის უქმობა გასაკვირლად არის დაცული ხალხთაგან. Კვირა დღეს ამ ქვეყნებში ვერ ნახავთ ერთ დუქანს გაღებულს სავაჭროდ. Კვირა დღეს ვერ ნახავთ ამ ქვეყნებში, რომ სადმე ერთი კაპეიკის საქმე გააკეთოს ვინმემ; ამ დღეს ყველა ეკკლესიაში მიდის და ისმენს მღვდლების ქადაგებას; თუ ეკკლე-

სიაში არ მიდის ვინმე, შინ კითხულობს დაბადებას ანუ სხვა რომელიმე სასარგებლო საკითხავ წიგნს. შესანიშნავი ინგლისის ისტორიკი მაკოლეი აი რა საყურადღებო სიტყვებს ამბობს ამის შესახებ: ,,თუმცა ჩვენ მრავალი საუკუნოების განმამავლობაში შვიდ დღეში ერთ დღეს, კვირას დავისვენებთ ხოლმე, მაგრამ ჩვენ ამ დღის უქმობით, მადლობა ღმერთსა, არ დავღარიბებულვართ; წინააღმდეგ ჩვენ უფრო გავმდიდრდით. როდესაც შრომა შეჩერდება ხოლმე, როდესაც სახნელი შეისვენებს და როდესაც ქარხნების ქვაბების ორთქლი და ქარხნების კომლი შესწყდება ხოლმე და ჰაერი გაიწმინდება, მაშინ კაცის ტანიც შეისვენებს და მუშა კაცი ორშაბათს ადგება მუშაობას სულ სხვა ღონით, სხვა გულით და სხვა გონებით.“ აი რისგან წარმოსდგება ხალხის სიმდიდრე სიტყვისამებრ ამ გამოჩენილი ისტორიკოსისა.

ამ წესს მისდევს ინგლისის და, ყველაზე ნამეტნავად განათლებული ხალხი, ამერიკისა. ისინი მტკიცედ ინახვენ მშვიდე დღის უქმის ძალას, მაგრამ კი არ ღარიბდებიან, არამედ ნამეტნავად მდიდრდებიან. ჩვენში? ჩვენში ვინ უქმობს კვირა დღეს? არც ხარს და არც ცხენს არ ეძლევა განსვენება კვირა დღეებში; ხალხი მუშაობს ამ დღეს ისე, როგორც სხვა უბრალო დღეებში; მაგრამ ისევე ისე ღარიბად და ლატაკად რჩებიან, უქმის ტეხით მათ არაფერი არ ემატებათ!

კვირა დღის განსვენება არა მარტო ფიზიკური მხრით არის მიუცილებლად საჭირო, არამედ ზნეობრივი მხრითაც. ვერ წარმოიდგენს კაცი თუ რა მდგომარეობაში ვარდება ნიადაგ შრომაში მყოფი კაცის გონება. როდესაც კაცის გონება ნიადაგ მიმართულია ერთს ფიქრზე, ნიადაგ მოქმედებაშია და არ ისვენებს, მაშინ კაცის მოსაზრება და ცნობა ჩლუნგდება და წვრიმალდება; მაგრამ დასვენების შემდეგ კაცის მოფიქრება და გონება ფართოვდება და ცხოველდება. ნიადაგ მუშაობაში მყოფი კაცის გონებას არ შეუძლია შეამოწმოს თავისი ნამოქმედარი, დააფასოს და გაასწოროს იგი, მაგრამ დასვენების შემდეგ ადვილად შეუძლია შეამოწმოს თავისი მოქმედება და გაასწოროს იგი. ნიადაგ მომღალავ შრომაში მყოფ კაცს თან-და-თან ეკარგება ცნობა თავის ღირსებაზედაც. ერთი სიტყვით, კვირადღეობით განსვენება კაცისათვის უსაჭიროესი რამ არის, რომელი მხრითაც უნდა ავიღოთ და ამ დღეს განუსვენებლობა ყველასთვის დიდი საზარალოა.

არ არის დიდი ხანი, რაც ჩვენმა და სხვა ჩვენი სახელმწიფოს ხალხმა დაიწყეს უქმის ტეხა და ამ დღეების ცუდი საქციელით შებღალვა. ოცი წლის წინეთ ჩვენს ეკკლესიებში ხალხის ტევა არ იყო კვირა-უქმე დღეებში, ეხლა კი ეკკლესიებში ხალხს ველარ ვხედავთ. რა არის ამის მიზეზი? რა უშლის ხალხს ეკკლესიაში სიარულს? ამ სამწუხარო მოვლენას სხვა-და-სხვა ნაირად ჰხსნიან; ზოგი მიაწერს ამას ხალხის სარწმუნოების დაცემას, ზოგი ამის მიზეზს ეკკლესიებში ქადაგებითი სიტყვის მოსპობაში ეძებს. მაგრამ ჩვენ არ გვჯერა, რომ ესეები იყვნენ მარტო ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზნი. რასაკვირველია, როდესაც ხალხში სარწმუნოება მდამლდება და სუსტდება ხალხიც ნაკლებ დადის ეკკლესიებში, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჩვენი სოფლის ხალხი სარწმუნოებით ჯერეთ ასე არ დაცემულა. ურწმუნო ხალხის რიცხვი სამძღვარ-გარეთ ხალხებში უმეტესია, ვინემ ჩვენში, მაგრამ უქმეს ისინი არ სტეხენ და ეკკლესიებში ჩვენზე ნაკლებ არ დადიან. ზოგნი ხალხთაგან უქმის ტეხას და ეკკლესიაში სიარულის მოსპობას ხალხის სიღარიბეს მიაწერენ, მაგრამ არც ეს არის ნამდვილი მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა.

---

## ყოფა-ქცევა კრებულთა რჯულის კანონით.

(დასასრული).

ჩვენ ვსთქვით კრებულის ქორწინებაზე, ახლა უნდა ვსთქვათ მათ ერთცოლობაზე. ამითი ითხოვება ის, რომ სამღვდელო პირს არა აქვს უფლება ორი ცოლი ჰყავდეს, თუნდაც სხვა-და-სხვა დროს, ე. ი., ერთის შემდეგ მეორე. ამიტომ ორ-ნაცოლევს ეკკლესია არ აძლევს ნებას კრებულში ჩაირიცხოს. მეჩვიდმეტე მუხლი მოციქულთა კანონისა ამბობს: ,,ვინც წმიდა ნათლის-ღების შემდეგ ორჯერ დაქორწინებულ იქმნა, იმას არ ეკუთვნის არც ეპისკოპოსობა, არც მღვდლობა და არც დიაკვნობა და, საზოგადოთ, ის არ უნდა იმყოფებოდეს კრებულთა რიცხვში.“ დიდი ვასილი ბრძანებს, რომ კანონი უკრძალავს ორ ნაცოლევს ეკკლესიის მოსამსახურედ გახდომას. დაბალ ეკკლესიის მოსამსახურეთაც არა ჰქონდათ ნება მეორე ქორწინებისა. რჯულის კანონის ჰაზრით ორ-ნაცოლევი არ დაიყენება მედავითნედ. უნდა შევნიშნოთ, რომ ეკკლესია არ უკრძალავდა კრებულს უცოლობას. ისტორიკოსები გვიამბობენ, რომ უმეტესი ნაწილი კრებულთა აღმოსავლეთის ეკკლესიისა იყვნენ უცოლონი. ცოლიანობა ანუ უცოლობა დამოკიდებული იყო თვითონ

სამღვდელოს სურვილზე. ერთი მუხლი მოციქულთა კანონისა იხსენებს, რომ კრებულში ერიენ უცოლონიც და ნებაც ეძლეოდათ. იმავე მუხლიდგანვე ჩანს, რომ მღვდლათაც შეიძლებოდა ხელდასხმულ ყოფილიყო უცოლოდ. *) მხოლოდ ეკლესია თხოულობდა და თხოულობს რომ მღვდლის ანუ დიაკვნის ცოლი ზნით და ყოფა-ქცევით მათემატიკურად ეფარდებოდეს ზნეობით და რელიგიურათ მღვდლის მნიშვნელობას. ამისთვის ეკლესია დარიგებას აძლევდა და აძლევს კრებულს, საცოლოდ აღირჩიოს ისეთი ქალი, რომელიც თავის ყოფაქცევით არ ამცირებდეს მათ და ხასიათით იყოს კეთილი. წმ. ეკლესია კრებულში ჩარიცხვის ნებას არ აძლევდა იმ პირთ, რომლებიც შეირთავდენ ცოლად ქერივს, ანუ ქმრისაგან განტევებულს, მოახლეს, განკიცხულს (აკტრისას), ერეტიკოსს, ან და კიდევ სხვა სარწმუნოებისას, ამისთვის, რომ ყველა ესრეთ პირებს ეკლესია რიცხავდა უნამუსოდ, ზნეობითი დავარდნილად ხალხის თვალშიც და სახელის დამამცირებელად თვით სამღვდელოისა. სხვა სარწმუნოების ქალზე მაგ. წარმართისაზე, ურიისაზე, მწვალებლისაზე სამღვდელო პირს შეეძლო ჯვარის დაწერა იმ შემთხვევაში, უკეთუ საცოლო ქალი მიიღებდა მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას და შვილნი მათი მოინათლებოდენ მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოების კანონისა-მებრ. შიცხლად აღკრძალული ჰქონდა კრებულს ნათესავთან ქორწინება. შემრთველნი ორთა დათა ანუ ძმის-წულთა ვერ ჩაიირიცხებოდენ კრებულში. შეცდომითაც რომ შეუღლებოდენ ნათესავებს, მაშინაც უარი უნდა ეყოთ მათ სამღვდელოებაზე. მეექვსე მსოფლიო კრება ბრძანებს, რომ ქორწინება ნათესავთან უსათუოდ უნდა დაირღვეს. რასაკვირველია, ეკლესია თხოულობს კრებულისაგან, როგორც ყველა კაცისაგან, ტკბილად მოქცევას თავის ცოლთან, უკრწალავს თავის-თავიდგან განშორებას ანუ ღალატს.

ᲩᲯულის კანონმა დასაფარველად გარეგანი ღირსებისა და ზნეთა სიწმინდისა აღუკრძალა კრებულს მონაწილეობის მიღება ისეთ შექცევაში და დროების გატარებაში, რომელიც არ შეფერის მათ ღირსებას, ან და ამტკიცებს მათ ზნეობრივ მოუთმენელობას, თავის შეუკავებლობას, ან და ცუდათ მოჰქმედებს მათ გრძნობაზე და ჰაზრის სიფხიზლეზე. ესენი არიან: სათვალ-სეირო თამაშა, დოღი, თეატრალური წარმოდგენა, თვალ-მაქცობა და სხ. ძველებური ეკკლესია კარგი თვალით არ უყურებდა სახალხო თამაშას, რადგანაც ეს თამაშა წარმართებიდგან ჰქონდათ გადმოღებული ქრისტიანებს და თამაშობას ჰქონდა ისეთივე მნიშვნელობა და ჰაზრი, როგორიც ჰქონდა წარმართებში. მაგრამ მარტო ამით არ აიხსნება გარიცხვა სახალხო თამაშისა ეკკლესიისაგან. იმისი შინაარსი ეკკლესიას მიაჩნდა დამღუპველად კრებულის ზნეობითი მხრისთვის. აი რას გვიამბობს წმ. ᲙᲘპრიანე ამ თამაშაზე: „თუმც გადახედავ ქალაქებს, დაინახავ მრავალ ხალხს, ემზადებიან სათვალ-სეირო თამაშისათვის, რომ კაცის სისხლით ასიამოვნონ კაცსვე. ᲐᲡᲣქებენ ჩამოსახრჩობ კაცს, რომ გაბედულად აღვიდეს სახრჩობელზედ. ᲭᲚᲐᲕᲔᲜ კაცს კაცის კმაყოფილებისთვისვე. მკვლელობა ჩვეულებად, ხელოვნებად გადიქცა; კაცნი არათუმცა ბოროტ-მოქმედებენ, არამედ სხვებსაც ასწავლიან ბოროტ-მოქმედებას. რა იქნება ამაზედ უარესი!“ ქვემოთ განაგრძობს ᲙᲘპრიანე: „მოთამაშენი იმეორებენ აქ იმ ბილწიერებას, რომელიც იმათ ოჯახში ტრიალებს. შეჰყურებენ მრუშებას და თვითონვე მრუშობენ. ᲐᲨᲙᲐრა ბოროტი ბოროტსვე აჩვევს კაცს. შაბწო ქალი, მისული თამაშაზე, ჰპრუნდება ოჯახში გაუპატიურებული. რამდენი საცოურებაა თვალთ-მაცოურების წარმოდგენებში. რამდენი უსირცხვილოების მაგალითებია! რამდენი გარყვნილების საწილოა! რამდენ უკანონო და უსარგებლო ხელოვნებაში ჩადიან იქ! წარმომადგენელი (კომედიანტი) თავის თამაშით, ამბობს წმ. მამა, ᲭᲫრაეს გრძნობას, ულიტინებს გულის-ნდომას, აყრუებს ძრიელ ფხიზელ სინიდისს, მოალერსე ბილწიერებას აქვს იმოდენა ძალა, რომ გარეგანი სიამოვნებით შეაქვს კაცის გულში დაღუპვა.“ ჩვენ მოვიყვანეთ ᲙᲘპრიანეს სიტყვები იმისთვის, რომ ისინი შეიცავენ მიზეზებს, როგორც ამბობენ რჯულის მეცნიერნი, რომლების გამოცა ეკკლესიამ აღუკრძალა კრებულს სხვა-დასხვა თამაშაში სიარული. Ცეკვა-თამაში ეგრეთვე აღკრძალული ჰქონდა კრებულს, როგორც ურიგო საქმე, რადგანაც მამაკაცნი და დედაკაცნი თავის სხეულის მოძრაობით მღელვარებაში მოიყვანენ მაყურებელს. როდესაც ეკკლესია უკრძალავდა კრებულს თამაშაში სიარულს, ჰქონდა სახეში კიდევ ის, რომ მათ მაგალითს ცუდი გაელენა ექნებოდა სხვებზე. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲭᲡᲓᲔᲕᲜᲘᲓᲐ კრებულს ძვლის და ბანქოს თამაშისათვის. ბანქოს თამაშს ეკკლესია ამსგავსებდა ქურდობას, უმოწყალო სარგებლის აღებას და ფიცხლად უკრძალავდა, არამც-თუ თამაშს, არამედ ყველანაირ მორიგებას (сдѣлку) მოთამაშესთან, რადგანაც ამაში ეკკლესია ხედავდა პლუტობას და ეშმაკობას

*) მოსკოვის სასულიერო აკადემიის რეკტორი დეკანოზი ა. ვ. გორსკი იყო ხელდასხმული მღვდლად უცოლოდ.

იუსტინიანე მეფის კანონით ბანქოს ანუ სხვა რამეს მოთამაშე მღვდელი, ბერი და სხვა უნდა ყოფილიყვნენ განგდებულ თავის სამსახურისაგან და გაგზავნილ მონასტერში სამი წლით, მაგრამ ღირსება არ უნდა ახდოდათ.

ნიმთვრალისათვის, ლხინობისათვის, ბევრი სმა-ჭამისთვის ეკლესია ფიცხლად ჰსდევნიდა კრებულს და უკრძალავდა მას ისეთ ლხინში დასწრობას, სადაც არიან მოწვეულნი „სასირცხვო პირნი“ და სადაც ურიგო სიმღერები და ცეკვა-თამაშია. ნეტარი იერონიმე ბრძანებს: „კრებული უნდა გაშორდეს ლხინს და ქეიფს ერის კაცებთან, რომლებსაც შეუძლიათ თავის თავს მისცენ მეტის მეტი ნება. სამღვდელო პირს პირიდგანაც არ უნდა ამოსდიოდეს ღვინის სუნი. მემთვრალე მღვდელს, დიაკონს და სხ. მოციქულიც ჰსძაგავს, ძველი აღთქმაც განაგდებს ეკლესიიდგან (ლევიტ. 10).“ დარღვევისათვის მარხვისა სამღვდელო პირი დათხოვნილ იქმნეს თავის სამსახურიდგან რამდენიმე თვე, ამბობს მოციქულთა კანონი.

კრებული უნდა განირჩეოდეს ერის-კაციდგან ტანისამოსითაც. ეკლესია მუდამ უკრძალავდა კრებულს მდიდრულად ცხოვრებას, მდიდრულად სახლის მორთვას და მდიდრულად ჩაცმა-დახურვას. ის უნდა იყოს მუდამ სუფთათ, მაგრამ უბრალოთ ჩაცმული. რა გვარი ტანისამოსი უნდა ეცვას კრებულს, ეს არ არის ცხადათ ნაჩვენები. წმიდა მამები გვიამბობენ, რომ კრებულს, მათ შორის ეპისკოპოზებსაც, ეცვათ შავი ტანისამოსი და აღკრძალული ჰქონდათ ფერადფერადი ტანისამოსის ჩაცმა, რათა შეცთომაში არ შეიყვანონ „უსუსურნი სულნი.“ არც თავი უნდა მოირთოს კრებულმა მდიდრულად. მეთექვსმეტე ნიკიას კრების მუხლით აღეკრძალება მას თავის მორთულობა, გრძელი თმის ტარება და მისი შეღებვა, ზეთის წაცხება და სხვა-დასხვა ნაირად დაწნა. რაც შეეხება თმის გაკრეჭას, ამის შესახებ, როგორც მოწმობს ბინგამი, კრებული საშვალოდ იქცევოდა; არც ძრიელ მოკლედ იკრეჭდა და არც ძალიან გრძლათ უშვებდა.

ეკლესიას სურდა ეპოვნა კრებულში ისეთი კაცნი, რომლებიც შემკულნი ყოფილიყვნენ ყველა კარგი თვისებით. სამღვდელო პირი უნდა იყოს კეთილ-წესიერი, სტუმრის მოყვარე მასწავლებელი, არა მეკრიესე, არა მეშფოთარი, არა ორ-პირი, მშვიდობის მოყვარე, განშორებული წუხილს, შურს, მტერობას, ცილის წამებას, ძაგებას, ტყუვილის თქმას, პირმოთნეობას, მცბიერობას, ხალხის გმობას, დრტვინვას, დამამცირებელ კაცთა სათნოებას, არ უნდა იყოს მოშიშარი ღვაწლსა ზედა მხილებისასა; არ უნდა იყოს ეგრეთვე ღვთის მგმობელი, თვით-მსჯელი (вольнодумецъ), უკადრისი, უმსგავსი, ქედ-მაღალი, მცირგავი და სხ. და სხ... კრებულს ჰქონდა და აქვს აღკრძალული ცემა-ტყეპა. იუსტინიანეს კანონით მცემელი მღვდელი ფიცხლად უნდა დაისაჯოს. იოანე ოქრქროპირის და იერონიმის განმარტებით სიტყვასა შინა „ცემა“ უნდა ვიგულისხმოთ ეგრეთვე „ავადხსენება.“ ამისთვის ამ კანონით კრებულს აღეკრძალება ავად ხსენება, ვისიც უნდა იყოს. წმ. ამბროსი ამბობს: „არა ღირს არს ერთ და იმავე პირიდგან სამღვდელოისა აღმოსლვლად კურთხეისა და წყევისა და იმავე პირითა ღვთის დიდება, რადგანაც არა შესაძლო არს ერთ წყაროიდგან გამოდიოდეს წყალი ტკბილიც და მწარეც.“

ჟ. უ.

---

## ლეჩხუმიდამ.

ფითქმის ყოველი მაზრის მცხოვრებლებს შეუძლიათ, რომ ავათ-მყოფობის დროს წამალი და ექიმი იშოვონ, მაგრამ ამ ჩვენი ლეჩხუმის მცხოვრებნი ამ მხრით ძალიან შეწუხებულნი არიან. ლეჩხუმში თავის დროზე ექიმს ვერ იშოვის კაცი და კიდეც რომ იშოვოს ექიმი და რეცეპტი დააწერინოს, წამალს ვერ იშოვის. ლეჩხუმში უკანასკნელ ციებ-ცხელების წამალსაც ვერ იშოვის კაცი. ზოგან აფტეკები მაინც არის მაზრებში, მაგრამ ჩვენს ლეჩხუმში აფტეკის ხსენებაც არ არის. ამ ორი წლის წინეთ, როგორც იქნა, ვეღირსეთ აფტეკის გახსნას დაბა ლაილაშში. ამ აფტეკის გახსნამ დიდი საღავათი მისცა მცხოვრებლებს, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ერთი წლის შემდეგ აფტეკა დაიწვა და დავრჩით ისე. ლეჩხუმში თუმც მაზრის ექიმიც და ფერშლებიც არიან, მაგრამ ერთ ექიმს არ შეუძლია, რომ ყველას გახვდეს და ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ხალხიც ძალიან არ ეტანება ექიმს, რადგან უმეტეს არ შეუძლია „ვიზიტის“ ფულების გადახდა. ეს არის მიზეზი, რომ ბევრი ღარიბი და შეუძლებელი პირები უსაშვალობით და უექიმ-უწამლობით იხოცება. რა ურიგო იქნება, რომ ამისთანა ღარიბ და გაჭირვებულ ავათმყოფებს ექიმებმა დახედონ და ამისთვის ფეხის ქირა არ მოითხოვონ. ამის ვალდებულიც რომ არ იყონ მაზრის ექიმები, ეს მაინც უნდა აღასრულონ. თორემ თუ ამას ჩაიდენენ ის პირები, რომელთაც კარგი ჯამა-

გირი ეძლევათ და ჯამაგირს გარდა კაი შემოსავალიც აქვსთ, მაშინ რაღა უნდა ვსთქვათ და რაღა მოვთხოვოთ იმ პირებს, რომელთაც ან სულ არ ეძლევათ ჯამაგირი და ან, თუ ეძლევათ, ძალიან მცირე, მაგრამ ისინი ხალხს კი ემსახურებიან?

ჰაინც-და-მაინც მაზრის ექიმები ბევრ ეიზიტის ფულებს არ უნდა ითხოვდნენ, რადგან მათ კაი ჯამაგირი ეძლევათ მთავრობისაგან.

ლეჩხუმელმა კიდეც რომ შეიძლოს ექიმის მოპატიჟება, რა გამოვა? ექიმი დაუწერს მას რეცეპტს და წამალი სად გინდა რომ იშოვო? სანამ კაცი წამალს იშოვიდეს და მოიტანდეს, მანამ ავათმყოფს თავისი დაემართება. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად მთელ რაჭა-ლეჩხუმში და სვანეთში ერთი ექიმის მეტი არ არის ხოლმე და ერთმა ექიმმა რა უნდა ჰქნას, თუ გინდ ექიმი კარგიც იყოს და ყურადღებასაც საკმაოდ აქცევდეს ხალხს.

ჰაც შეეხება ვაქსინატორების მოქმედებას, უნდა ვსთქვათ, რომ ისინი არ იქცევიან რიგიანად, რის გამო ხალხი, ცოტა არ იყოს, ემდურის მათ. მართალია, რომ იგინი საჭირო დროს ბევრს პირებს უცრიან ყვავილს, მაგრამ, საუბედურო, აცრა არ მოქმედობს და ბევრს არ აჩნდება. ამის მიზეზი უნდა იყოს ან მათი ამ საქმის უცოდინარობა და ან ჩირქის სიძველე. გარდა ამისა, ყველა მაზრებშია, ეგონებ, ბებია ქალები (акушерка) დანიშნული და ჩვენმა ლეჩხუმმა რა დაამავა, რომ ერთი ნასწავლი ბებია ქალი არ გამოგზავნეს აქ? ეს არის მიზეზი, რომ ლეჩხუმში ბევრი მშობიარე ქალები და მათი ახლად დაბადებულნი ყმაწვილები მოუვლელობით და უსაშვალობით იხოცებიან და ან სამუდამოდ სნეულდებიან და მახინჯდებიან. ამიტომ ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ერთ ნასწავლ ბებია ქალს ლეჩხუმშიდაც დანიშნავდეს მთავრობა. ამას გარდა არ იქნებოდა ურიგო, რომ, რადგან ლეჩხუმში აფტეკა არ არის და ავათ-მყოფობის დროს კაცი თავის დროზე წამალს ვერ შოულობს, მაზრის ექიმი მაინც იქონიებდეს წამლებს და საჭიროების დროს რიგიან ფასად მიჰყიდდეს ხოლმე ხალხს.

X.

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

„ჩვალ-საჩინო რუსეთი", ტ. IX. ქავკასია. გამოცემა მ. ო. ფოლფის ამხანაგობისა.

ჰრავალჯერ გამოგვითქვამს ჩვენ, რომ ჩვენი ქვეყანა ანუ ქავკასია სიბნელით მოცულია; რომ მას ეჭირვება შესწავლა და შესწავლა საფუძვლიანად, მეცნიერულად; რომ მდიდარი მისი არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ლინგვისტური, ანტროპოლოგიური, გეოლოგიური და ისტორიული ნიადაგი ჯერეთ თითქმის ხელ-უხლებელია. ამ ნაირი ჩვენი თქმულებანი და სურვილი ჯერ აღსრულებულნი არ არიან და, როგორცა სჩანს, არც არავინ ჰფიქრობს, რომ ამ ჩინებულს და საშვილი-შვილო საგანს საძირკველი ჩაუყაროს ვინმემ და ქავკასიის შესწავლის საქმეს ხელი მოჰკიდოს. ჩვენ ვცოცხლობთ ქვეყანაზე და ქვეყნისა კი არა გაგვეგება-რა: ერთი ხეობის ქართველმა არ იცის, თუ რა წეს-წყობილებით სცხოვრობენ მეორე ხევის ხალხნი, რა ნიადაგზეა აშენებული და დამკვიდრებული მათი სოციალური ცხოვრება და ეითარება. სამწუხაროდ არც ერთს ზემო მოხსენებულს სამეცნიერო ასპარეზს არა ჰყავს წარმომადგენელი ქართველთაგან. მართალია ისტორიასა ჰყავს, მაგრამ არა უმეტეს ერთისა თუ ორისა.

ჰაშინ, როდესაც ჩვენ, ქართველნი ასრე დაუდევრად და გულ-გრილად ვეპყრობით ჩვენი ქვეყნის შესწავლას, უცხო ტომის ხალხნი ბეჯითად შესდგომიან ქავკასიის შესწავლას. მართალია, იმათაც ბევრი არა გაუკეთებიათ-რა ამ მხრით, მაგრამ შესდგომიან მაინც საქმეს!..

ჩბილისში ეხლა გამოდის შემდეგი სამეცნიერო ჟურნალები: „ისტორიული" დ. ზ. ბაქრაძის რედაქტორობით, „საიმპერატორო გეოგრაფიული". ლ. პ. ზაგურსკის რედაქტორობით, ქავკასიის კალენდარი, რომელშიაც ხშირად მრავალი საინტერესო ცნობებია; ქავკასიის არხეოგრაფიურის კომმისიის ცნობანი და მრავალნი სხვა გამოცემანი და გამოკვლევანი. ყველა ამ თხზულებებში და ჟურნალებში არა ერთი „ობოლი მარგალიტია" ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს ცხოვრებაზე. მაგრამ ისიც უნდა აღვიაროთ, რომ ამ მარგალიტებთან ერთად ამ უცხო ლიტერატურაში ხშირად შეიპარება ხოლმე იმისთანა შეუსაბამო და უხამსო ცნობანიც, რომელნიც ჩვენს წარსულს დროს და ქვეყანას წარმოგვიდგენენ სულ სხვა სახით, მინამ იგი არის და ყოფილა. ზოგიერთის სიმამაცე, ანუ აღვირ-აშვებული მსჯელობა, იქამდის მიდის, მაგალითებრ, რომ ყოყოჩობით გვაუწყებს: საქართველო, როგორც სამეფო მე-XI—XII საუკ. არ არსებობდაო, საქართველოს მატიანე არა ჰქონიაო ვახტანგ მე-VI-ს დრომდეო; ზოგნი კიდე ყვირიან: საქარფველოში ნამდვილი ქრისტიანობა არ არსებობდა და ამიტომ ეხლაც ქართველნი გულ-გრილად ეპყრობიან ქრისტიანებრივს სწავლა-მეცნიერებასაო; ზოგს ჩვენი ისტორია არა-რად მიაჩნია და თვით

თამარ დედოფალს მოგონილ პირად, მეფეთა იდეალად ჰხადიან... ყველას ამ გვარი მსჯელობა აიხსნება საქმის უცოდინარეობის გამო, ყველანი სჯიან, ხსნიან, უბნობენ თავისებურად; კაცია და გუნება, იციან, რომ რაც უნდა წამოროშონ, დაურჯელად ჩაივლის და პასუხის გამცემი არ ეყოლებათ. ადგილობრივ რუსულ მწერლობას ჯერ იმდენი არ გაუკეთებია, რომ ვსთქვათ: საქართველო, საზოგადოდ, კავკასია ნახევრად მაინც შესწავლილიაო. ჩვენი ქვეყანა აწინდელი მეცნიერებისათვის ეხლაც მიემსგავსება ძველებური ხალხების გიპერბორეის ქვეყანას...

დასამტკიცებლად ამისა მივმართოთ ,,თვალ-საჩინო'' რუსეთის მე-IX ტომს, რომელიც შეიცავს 280 გვერდს in falio და მთლად შესდგება კავკასიის აღწერისაგან.

აი რა გვარი შეცდომებითაა სავსე ეს დიდი წიგნი და როგორ ,,თვალ-საჩინოდ'' ჰხატავს იგი ჩვენს ქვეყანას.

ერთი, მართლაც, რომ საფუძვლიანად მცოდნე კავკასიისა გაზეთის ,,კავკაზის'' №№ 201, 202 და 214-ში გვიჩვენებს უმთავრესს ნაკლულევანებას ამა წიგნისას.

პირველი, რომ მთელს წიგნს არა აქვს სერიოზული, მეცნიერული ხასიათი. იგი უფრო წარმოგვიდგენს სურათებს, პეიზაჟებს და სხ. მაგალითად მას მოჰყავს შემდეგი სურათი ბ. ნოვომარევის წერილიდამ ,,კავკასიის ჩრდილოეთის მხრის ყუბანის და თერგის წინა-მთანი'' (предгорья). ბ. ნოვომარევი ელბრუსის წვერზე დგას (ფიქრით) და იქიდგან ჰხატავს ქვეყნის სურათებს. ,,ხეობების გაყოლება,'' ამბობს იგი, ას ასობით ჩამწკრივებულან და მიყუჩულან ქოხები, სოფლები და სტანციები. ხანდისხან, მაგრამ ყველაზე ცხადად, მოჩანან ქალაქნი (?). ერთ ადგილას გამწვანებულან ბაღნი, მეორეს სძოვენ ცხვრის ფარნი, მესამეს ჩამწკრივებულან მგზავრნი; მინდვრებზე ღელავს ბალახი და სხ. ყველა ამას—განაგრძობს იგი—ელბრუსის წვერიდამ დაინახავს კაცი და მთელი კავკასიის სურათიც იგულისხმეთ მის მსგავსადო''.

მეორე ნაკლულევანება არის უმართლოდ მოჰყრობა და განმარტება ფაქტებისა, ყველგან და ყოვლის ფერში კავკასიის სურათების დამხატავებს ეტყობათ დიდი სისუსტე და საქმის უცოდინარობა, მაგ. ერთმა მწერალმა არ იცის ეთნოლოგიის და ლინგვისტიკის ანბანური ჭეშმარიტებანი და მოდგმასა სთვლის ტომად, ერთი ხალხის სხვა-და-სხვა წარმომადგენლებს — ხალხად. ამის გამო 160 გ. წიგნისა იგი ქართველ ხალხს ჰყოფს 6 დამოუკიდებელ ნაციად (ქართველი, იმერელი, გურიელი, ხევსური, ფშავი და თუში). ნამდვილად კი ჩვენ ვიცით, რომ ქართველი მოდგმისანი არიან: ქართველნი, მეგრელნი და სხვანნი; ქართველთა ტომის (უნდა იყოს მოდგმის) ენისთვის ჯერ აქამდის ადგილი არ არის პოვნილი ხალხოსნობის ენათა შორის, ამბობს სტატიის ავტორი. ამაზედ კრიტიკოსი საფუძვლიანად უპასუხებს, რომ მოდგმას საზოგადო ენა არა აქვსო, მაგ. ნემენცთა მოდგმის საზოგადო ენა არ მოიპოება, არამედ არის ენანი: ნემენცისა ჰოლანდიისა, ინგლისისა, დანიელთა, შვედელთა და ნორვეგთა; არ არის სლავიანთა საზოგადო ენა, არამედ არიან ენანი: რუსული, ბოლგარული, სერბული, ჩეხური, პოლშური და სხვა და ამიტომ არც ქართველთა საზოგადო ენა არისო, არამედ არის ქართული, მეგრული და სვანურიო.

მეორე წერილის ,,დიდი კავკაზიის'' ავტორს უფრო შეუწყნარებელი შეცდომებით გაუვსია თავისი წერილი, მაგ. მას მყინვარი (ყაზბეგი) კავკასიის მწვერვალთა შორის მეორე უმაღლეს მწვერვალად მიაჩნია, თუმცა იგი არის მეხუთე. სიგრძე კავკასიონის მთა-გრეხილისა მიაჩნია 150 მილად, თუმცა იგი ნამდვილად ბევრით ამაზედ უგრძესია. ოსთა რიცხვი ნაჩვენებია 28,000, თუმცა მათი რიცხვი ადის 110,000. ზოგიერთ ხალხებზე სრულიად ცნობები არ მოუყვანია.

წერილი ,,რუკა კავკასიისა'' აგრეთვე შეცდომებს მოკლებული არ არის, მაგ. ამ წერილში დასახელებულნი არიან შემდეგი, ვითომ და, უმაღლესნი მწვერვალნი კავკასიისანი: მყინვარი იალბუზი და ფასის მთა (?); ავტორის ჩვენებით ,,მტკვარი და რიონი თავის სათაურებით, თითქმის, ერთი ადგილიდამ იწყებიან; თუმცა ნამდვილად კი რიონის სათაური იალბუზის ძირშია და მტკვრისა ყალნუს მთებში. დიდი შეცთომილებაა აგრეთვე შემდეგი მსჯელობა: ქართველთა სახეს (танъ) დიდი მსგავსება აქვს ურიათ სახესთან, მრავალი ურიული ენის ძირეული სიტყვანია ქართულ ენაში, თვით საქართველოს სახელ-წოდება — ივერია (ევერ) გარდაცვლილი იმერად — იმერეთად, — ყველა ეს გვიმტკიცებსო, რომ ურიანი უძველეს დროიდგანვე შეადგენდნენ ნაწილს კავკასიის ხალხისას.

ამ ნაირი მსჯელობა მწერლისა ცოტა რომ ვსთქვათ, სასაცილოა. აქამდის ანტროპოლოგიურს მეცნიერებას არ აღმოუჩენია მსგავსება ქართველ-ურიათ ტიპისა; ფილოლოგიამ არ იცის ისეთი სიტყვანი ქართულ ენაში, რომელნიც ურიული ენის

ძირისანი ყოფილიყენენ. ზარდა ამისა, რომ ურიანი არას დროს ქართველი მონათესავენი არ ყოფილან, ამას დამტკიცებაც აღარ ეჭირვება. ვინ არ იცის, რომ ივერია და იმერია—იმერეთი ერთი და იგივე ლექსნი არ არიან. ივერია ეწოდა საქართველოს რომელთაგან, ხოლო იმერეთად იწოდება საქართველოს ის მხარე რომელიც დევს ლიხის მთებს იქით, ე. ი. დასავლეთის მხარეს, იმ მთის აქეთი, აღმოსავლეთი მხარე კი იწოდება ამერეთად. შემდეგ ამისა ავტორი მოგვითხრობს, რომ უუძველესი ხალხი კავკასიისა და, მაშა სადამე მთელი სოფლისაც, არიან ოსნიო (აზნიო) (?!). ზარდა ამისა მრავალნი შეცდომილებანი არიან კიდევ, რომელთაგან დავასახელებთ ერთ-ორს: „ბელოგლინის გზა-ტკეცილი ამიერ კავკასიაში", „ქალაქი ბორი და ძველი ციხე ხორისციძე", მოძალითის მონასტერი ჟუთაისის ახლოს". როგორცა სჩანს წერილის ჰაზრიდამ „ბელოგლინის" მაგიერად უნდა ხმარებულიყო „ბელაგორის" „ხორისციძეს" მაგიერ „ბორის-ციხე", „მოძალეთის" მაგიერ „მოწამეთის" და სხვ.

ჩვენ აქ უმთავრესი შეცდომების მეასედიც არ მოვიყვანეთ. ველა შეცდომები რომ ჩამოვსთვალოთ სად გვექნება იმდენი მოთმენა. ამ მოყვანილ შეცდომებიდამაც სჩანს, თუ რა გვარ ხალხს მოუკიდნიათ ხელი „კავკასიის თვალ-საჩინოდ" დახატვისათვის.

ველა შეცდომანი გაზეთის „ავეკაზის" რეცეზენტმა გამოაშკარავა და ურჩია „თვალ-საჩინო რუსეთის" მე IX ტომის შემადგენელთა ცალკე ბროშურით შეამსონ და შეასწორონ თვისნი ნაწერნი. ამნაირ კეთილ-გონიერ რჩევისათვის იმავე გაზეთის საშუალებით მე-IX ტომის შემადგენელთა მედიდური ჰაზრი გამოსთქვეს თვის ნაწერებზე და შეცდომების შესწორების მაგიერად აიღეს და თავის ნაწერებზე შესთხზეს ერთი სასაცინო უჩვეულებრივი მოწმობა და გამოაცხადეს საქვეყნოთ.

ეს ნაირი თავის გამართლება მაშინ, როდესაც საჭიროა ცოდნა, მეცნიერების ჭეშმარიტებათა აღდგენა, ჩვენ მიგვაჩნია ბავშურ საქციელად და გვიკვირს, ისეთმა პატივ-ცემულმა პირებმა, როგორნიც არიან „არხეოგრაფიული კომისიის საფუძველიანთ შრომათა რედაქტორი და სხვანი მისნი მარცხენანი და მარჯვენანი, როგორ ჩაიდინეს ამ ნაირი სასირცხო და ბავშური მოქმედება..,

ბასასრულ ვიტყვი, რომ იმ დროამდის საქართველო საჯიჯგნო საგნად იქნება, მინამ ჩვენ საკუთარი ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული კრებული, გინა ჟურნალი არ გვექნება. ამ ნაირი კრებულ-ჟურნალი, აღმოცენებული მშობლიურ ნიადაგზე, დაამყარებს ჭეშმარიტ და შეურყეველს ცნობებს კავკასიაზე საზოგადოდ და საქართველოზედ კერძოდ. მართლაც, ვის უფრო შეუძლიან ადვილად შეისწავლოს ქვეყანა: იმას, რომელმაც იცის ქვეყნის ენა, ზნე-ჩვეულება, ლტოლვილება, რომელიც იქვე დაბადებულია, აღზრდილი, იქვე სცხოვრობს და იქვე მოკვდება, თუ იმ მოსულს, რომელმაც არც ენა იცის ქვეყნისა, არც ჩვეულობა, და სხ.?

ბასასრულ კიდევ ვიმეორებ, დროა ჩვენც გავეროოთ საქვეყნო სამეცნიერო მეჯლიშში და ჩვენვე შეუდგეთ ჩვენი ქვეყნის მეცნიერულად გამოკვლევას.

მ. ჯ—შვილი.

---

## ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

### XIV.

საბერძნეთის იმპერიის დამხობის შემდეგ საქართველოს არა თუ საიდანმე შემწეობა არ მოსდიოდა, არამედ, თვით უშემწეოდ დაშთენილი, სხვა ხალხებისათვის შეძლებისამებრ უნდა შემწეობა მიეცა. როდესაც ოსმალთა რბევა და დევნა დაუწყეს ბერძენთა, მაშინ ისინი მოიქცნენ ჩვენ მეფეთადმი და ველა სთხოვეს. მეფეთაც შეჰხედეს მათ გაჭირებულ მდგომარეობას და დაასახლეს იგინი სომხეთში, საცა მათთვის დაეწესეს საკუთარი საეპისკოპოსო სოფელ ახტალას. ახტალის ბერძენთა ეპისკოპოსი ემორჩილებოდა საქართველოს კათალიკოზს და ეს კათედრა არსებობდა 1827 წლამდის და ბოლოს უკანასკნელის ეპისკოპოსის იოაკიმეს სიკვდილით სამუდამოდ მოისპო საეპისკოპოსო კათედრა ახტალისა.

როდესაც მონგოლთა ზღვაებრ ღელვა შეჩერდა, როდესაც რუსეთი, ოსმალეთი, სპარსეთი და საქართველო განთავისუფლდნენ მათ ხელიდამ, მაშინ მცირე ქართველთ ერი—ერი უმშვენიერესი ყოველთა ერთა შორის, მქონებელი უმშვენიერესის და მდიდარის მიწა-წყლისა (ბუნებისა), მქონებელი უტკბილესის ქრისტეს სარწმუნოებისა, შეიქნა საცილობელ საგნად სპარსთა და ოსმალთა შორის. ორსაევე ამ ურჯულო ხალხსა უნდოდა თვისი გავლენა და უზენაესი უფლება ექონია საქართველოზე, და, რადგან ქართველნი არ ემორჩილებოდენ არც ერთსა და არც მეორესა, ამიტომ ისინი შემოესეოდენ ხოლმე საქართველოსა, არბევდენ და აოხრებდენ ქვეყანასა. რადგან საქართველოს დამორჩილება, მათი ჰაზრით,

შეუძლებელი იყო, თუ ამ ქვეყანაში ქრისტიანობა არ მოისპობოდა, ამიტომ იგინი ყოველ-გვარ ღონისძიებას ხმარობდენ, რათა მიეღებინებიათ მათთვის მაჰმადიანობა. ამიტომ ნიშნად თვისის გამარჯვებისა ჩვენი მეფეების და წარჩინებული პირების გამაჰმადიანება მიაჩნდათ. ეს არის მიზეზი, რომ მე XVI საუკუნიდამ მოკიდებული საქართველოში ვხედავთ მრავალ გამაჰმადიანებულ და აგრეთვე წამებულ მეფეებსა.

ცილობა სპარსთა და ოსმალთა 1624 წ. დასრულდა მით, რომ ამერეთი დარჩა სპარსელთ მფლობელობაში, ხოლო იმერეთი და საათაბაგო ოსმალეთის მფლობელობაში.

ამნაირად ორთავე საქართველოს მტერთა მეცადინეობით მაჰმადიანობამ ფეხი მოიდგა დაღისტანში, ჩეჩენში, ოსეთში, ჩერქეზეთში, სვანეთში, აფხაზეთში, ლაზისტანში, საათაბაგოში და შაჰ-აბაზ II-ს შემოსევის (1642 1667 წ.), კახეთის აოხრების და 100,000 ქრისტიანთ აყრის და შუაგულ სპარსეთში გადასახლების შემდეგ მაჰმადიანობა გავრცელდა ჰერეთშიაც (საინგილო) და აქ მაჰმადიანობა უფრო დამკვიდრდა მაშინ, როდესაც ოსმალთ და სპარსელთ ქომაგობით ლეკნი ჩამოვიდნენ მთიდამ და დასახლდენ ჭარ-ბელაქანში *) და დააარსეს თვისი საკუთარი რესპუბლიკური მმართველობა.

ასრე ქრისტიანობა საქართველოში დარჩა საშინელ მტრების ხელში: ოსმალთა, სპარსთა, ლეკთა, ჩერქეზ ჯიქთა და მრავალთა სხვათა ქრისტიანობის მოსისხლეთა მტერთა ზედ-გავლენაში.

დანაწილებული და რამდენიმე ნაწილად გაგლეჯილი საქართველო ამისთანა საშინელ და სამწუხარო მდგომარეობაში არასდროს არა ყოფილა, რადგან იმ ადგილებშიაც, საცა ქრისტნანობა ჯერ კიდევ არსებობდა, სპარსთა და ოსმალთ პოლიტიკურმა მოქმედებამ კეთილ-მორწმუნეთა მეფეთა, მთავართა, სამღვდელოთა და ერისთავთა შორის ჩამოაგდო შური, ურთი-ერთ სიძულვარე და დავიდარაბა.

თუმცა ასრეთი იყო მდგომარეობა ამ დროისა, მაგრამ ისტორიული ცხოვრებისათვის გაჩენილ ერს მაინც მოეძებოდა მრავალნი პირნი, რომელნიც კეთილად და ერთგულად ემსახურებოდენ მამულსა, სარწმუნოებასა და თვის გვარ-ტომობასა და მით სძლევდენ და აქარწყლებდენ ბოროტ-განზრახვათა და მოქმედებათა საქართველოის მტერთა.

ამ გვარნი პირნი იყვნენ:

სხვათა შორის, მთელი გუნდი გარეჯის მოწამეთა. წმიდანი ესე ძმანი გარესჯისანი ეწამნენ წმ. აღდგომის სამშაბათსა სპარსთა ჯარისა დანაშთენთაგან. „დამწყებელთა ლოცვისა ცისკრისათა იწყეს ლიტანიობად გარემო ეკლესიისა სიმრავლემან წმიდათა მამათამან და ხელთა შინა მათთა სანთელი ანთებული და იხილეს შორს მდგომარე და დამალულ ბარბაროსებმა სანთლის შემწეობით კრებული იგი სალმრთოი, წარვიდეს მათ ზედა. ესრეთ—ზედა დამსხმელთა ბარბაროსთა ეკლესია გარეშეიცვეს და წმიდა იგი კრებული უწყებულ-ჰყვეს ვითარმედ, ანუ დაუტევეთ ქრისტე, რომელსა აღიარებთ და მოსულნი ჰსჯულისა-დებისა მომართ მოციქულისა ჩვენისა დაემკვიდრენით ჩვენთათა... უკეთუ არა ისმინოთ ჩვენი, აჰა მახვილნი აღმოხდილნი ხელთა შინა ჩვენთა, რომლითა აღისპნეთ, თვინიერ ერთისაცა თქვენგანისა განრომითა ცოცხალ-ადრე.“ მამასა მონასტრისასა და სხვათაცა ძმათა მტრისათვის მოუხსენებიათ, რომელ „ჩვენ სჯულის-დებათა ცრუისა

---

*) ჭარი (ფიფინეთი), ბელაქანი, კაკი და მიდამონი მათნი ქ. ნუხამდის, რომლის ახლოს სოფ. გიში იჯდა ქართველი ეპისკოპოსი, ძველი დროიდგანვე ეკუთნოდნენ საქართველოს და აქ ჰყვაოდა ქრისტიანობა. ამის დასამტკიცებელ საბუთად გარდა მრავალთა და საკვირველთა ნაოხართა და ეკლესია-მონასტერთა ნაშთთა, დაშთენილთა ყოველთა წიაღთა და კალთათა კავკასიისათა და აგრეთვე მიდამოთა და ტყე-ღრეთა ალაზნის ველისათა, ჩვენ აქ მოვიყვანთ ცნობებს ამ ადგილებზე აგრეთვე მეთერთმეტე საუკუნის კათოლიკოზის მელქისედექის სიგელიდამ, დამტკიცებული დიდისა მეფისა ბაგრატ მეოთხისაგან (1027-1072 წ.) და სხვათაგან.

სიგელი ასრე იწყობა:

ქ. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

„და შევსჭედე სვეტი ცხოველი ოქროთა და ვეცხლითა და შევსჭედე წმიდა საკურთხეველი ოქროთა და ვეცხლითა, თვალით და მარგალიტითა, და მოვსჭედენ კანკელნი და კარნი საკურთხევლისანი ოქროთა და ვეცხლითა, და შევსჭედე ძელნი ცხოვრებისანი ოქროისანი ყოველნი თვლითა და მარგალიტითა და შევსჭედე წმიდა ესე სამარტვილო ოქროთა და ვეცხლითა, თვალითა და მარგალიტითა და იმას შიგან დაუსვენე ყოველთა წმიდათა ნაწილნი და ძელი ცხოვრებისა და დაუსვენე ხატი ოქროისა, რომელი მიბოძა კოსტანტინე ბერძენთა მეფემან და სამარტვილოსავე შიგან დაუსვენე ხატი ესე წმიდისა ღვთისმშობლისა, შემკობილი ოქროითა, თვლითა და მარგალიტითა, რომელი მიბოძა ვასილი ბერძენთა მეფემან და...... (ჩამოთვლილია ხატთა რიცხვი)... ყოველნი რიცხვითნი.“ კათოლიკოზს შეუწირავს კიდევ წმ. ჭურჭელნი, წიგნნი, რომელთა რიცხვი მისი მოწმობით „ესე წიგნები, რომელ მე დამიწერია ჯუმლად (каталогъ) არს თავი კე.“ შეუწირავს აგრეთვე შესამოსელნი და შემოსავლად მცხეთის ტაძრისათვის მრავალთა ტაძართა, სოფელ-ქალაქთა შორის შეუწირავს „ჰერეთის მონასტერი დიდითა ძალითა და ჰერეთისვე კატეხისა ეკლესია შესავლითა მისითა და კაკს ვაჭარნი და ზიარი სოფელი დიდი.“ (იხ. ჩუბინოვის ქრისტ. გვ 203-208).

მის მოციქულისა თქვენისათანა არა შევიწყნარებთ და არცა დაუტევებთ მეუფესა ჩვენსა და უფალსა ქრისტესა"... ზვალადეთ ,,ჭამად პასექისა მის უკვდავისა... იპყრენით უკვე კარნი ამის ეკკლესიისანი ძლიერად... შემდეგ დასრულებისა საღმრთოისა ლიტურღიისა, რაიცა გნებავსთ, ჰყავთ." მართლაც, ბარბაროსთა დაუცდიათ მათთვის და ლიტურღიის შემდეგ ყველანი დაუკლავთ და დაუხოციათ ტაძარსავე შინა, რომელიც სრულიად გაუცარცვავთ და წასულან. ძვალნი ამა წმიდათანი ეხლაც ინახებიან ბარეჯის ეკკლესიის ეკვედერის გამოქვაბულის საწნახელსა შინა *).

აქვე მოვიხსენებთ წამებასა ნეტარისა მეფისა ჩვენისა ლუარსაბისა.

ლუარსაბი იყო ძე მეფისა გიორგი X **) და გამეფდა 1605 წ. ამ დროს სპარსეთში ხელმწიფობდა შაჰ-აბაზ I, რომელიც საშინელი მტერი იყო ქრისტიანობისა საზოგადოდ და ქართველებისა კერძოდ. მას ამ დროს აქეზებდა და უფრო ამხნევებდა ლუარსაბის მტერი მოურავი სააკაძე. 1615 წ. შაჰი ურიცხვი ჯარით წამოვიდა საქართველოზე. მეფენი კახეთისა თეიმურაზ I და ქართლისა ლუარსაბ II მიიქცნენ იმერთა მეფისადმი, საიდამაც შაჰმა თვისის მლიქვნელობითა და მეგობრობის გამოცხადებითა გამოიხმო ლუარსაბი ,,მეფე თეიმურაზი კი ვერ აცთუნა." გახარებულმა აბაზმა ქვეყნის აოხრება მიანდო თვისი ჯარის მეუფროსეთა და თვითონ კი ლუარსაბი წაიყვანა ისპაანში და ლიქნითა ესე ჰრქვა: ,,უკეთუ უარ-ჰყო ჰსჯული ქრისტესი და იქმნე მოსახლე მაჰმადისა, დიდითა პატივითა პატივ-გცე და მრავლითა დიდებითა განგიტეო ქვეყნად შენდა." ლუარსაბმა უარი უთხრა, რის გამო შაჰის ბრძანებით მეფე შირაზის საპყრობილეში ჩასვეს და შვიდი წლის პყრობილობის შემდეგ გამოიყვანეს მოედანზე და თავი მოჰკვეთეს ***) (1622 წ.).

*) ეკკლესიასა პირ-მშოთასა ნეტარნი,
აქა ზადიკობად მოსრულნი ეკკლესიად,
აღფრინდეს ფრთითა წამებისათა სიბრძნით,
მუნსა მიმართ ზადიკისათვის აქათ
და შეერთნეს ზენათა იერ-არხთა.
ანტონ კათოლიკოზი.

**) გიორგის ჰყვანდა სამი ასული: ელენე, ხორეშან და თინათინ. ელენე მიეთხოვა რუსთა მეფის გოდუნოვის ძეს თეოდორეს; ხორეშანი მიეთხოვა კახთა მეფეს თეიმურაზსა, თუმცა ახლო ნათესავი იყო მისი, მაგრამ ასრე ჰსურდა შაჰისა; თინათინი წართმეულ იქმნა აბაზისაგან თვის საცოლედ.

***) ,,ეკკლესიათა უცვილო მეფე ქართლის,
ლუარსაბ მთიებ, საჩინოდ აღმომზეობს,
ყოვლად-წელ ტანჯული, გულაბს პყრობით მარტოებს,
მშვილდის თჳთ ხმე წვით თჳსთა განაკერძოებს,
მძიმეს მძიმეთ ჰრთავს, სულსა ალა-ღვთის-კარვებს.
ნიკოლოზ ტფილელი.

## წამება წმიდისა დიდისა მოწამისა ქეთევან კახთ-დედოფლისა.

ქეთევან იყო ასული აშოთან ბაგრატოვანისა, მეფის კონსტანტინეს ძის წულისა. დედაკაცი ესე იყო განსწავლული ფრიად და ბრძენი. ქმარი მისი გიორგი იყო ძე მეფისა ალექსანდრესი.

ბოროტსა შაჰ-აბაზსა ჰსურდა კახეთის გაოხრება. მისი ხელშემწყობი გამოჩნდა. ეს იყო ძე კახეთის მეფისა ალექსანდრესი, ანუ მაზლი ქეთევანისა—კონსტანტინე, რომელიცა პატარაობითვე სპარსთა ხელმწიფის კარზე იზრდებოდა და იქვე გაჰმაჰმადიანდა. თუ რათ ემტერებოდა კონსტანტინე კახეთის მეფესა და ძმასა თვისსა, ამას დავინახავთ შემდეგში.

ასრე აბაზმა დიდ-ძალი ჯარით გამოისტუმრა კონსტანტინე კახეთსა და უბრძანა მოეკლა თვისი მამა, ძმა და გამეფებულიყო კახეთში. კონსტანტინე, მოსრული კახეთს, დაპანაკდა ჰერეთის (საინგილოს) ქალაქსა ბაზარს (ეხლა გაოხრებული სოფელია) და აცნობა მისვლა თვისი მეფესა ალექსანდრეს.

გახარებული მეფე თავის ძით გიორგითურთ მიეგება ძესა თვისსა კონსტანტინეს, რომელმაც თვისსავე კარავში ღალატით მხედართა თვისთა დაახოცინა მამა თვისი ალექსანდრე, ძმა გიორგი და მხლებელნი მათნი აბელ ანდრონიკაშვილი ყორჩიბაში (მამა ადამ სულთანისა) და ძმა აბელისა ეპისკოპოსი რუსთველისა. მერმე, სხეულნი იგი მართალნი აღჰკიდნა აქლემთა ზედა და წარგზავნა დაფლვად ალავერდს და შეჰსთვალა მისდა სიტყვანი ყოვლად ულმრთოჲსა-მებრ ნებისა თვისისა შეერთებისანი," ესე იგი ქეთევანსა, რძალსა თვისსა შეუთვალა, ჩემზე გამოთხოვდიო. წმიდამან ქეთევანმა, დიდად შეწუხებული ამა ულთოისა საქციელისაგან, დაასაფლავა ქმარი და სიმამრი თვისი და მერმე წარგზავნა ჯარნი დასასჯელად კაენისა. მართლაც, კახეთის ჯარისაგან იძლია უღვთო კონსტანტინე და მოკლულ იქმნა. ქეთევანმა ,,ძაღლთა მიგდებადი იგი მძორი დაყროლებული კონსტანტინესი პატივად თვისებისა თვისისა და გვარ-მაღლობისა, მის უკეთურისა დაფლვად უბრძანა" და დიდი საჩუქრები გაუგზავნა შაჰისა,

დღესასწაული მისი 21 ივნისსა. წმიდა გვამი მეფისა ჰმარხია შირაზს. საფლავისა მისისაგან ეხლაც ,,სნეულნი მიიღებენ კურნებასა."

რომელთანაც მძევლად იყო ძე დედოფლისა თეიმურაზი და მიუწერა: „ვითარმედ, მეფეო, მომეც ძეჲ ჩემი თეიმურაზ, რამეთუ სახმარ არს მეფობისა შენისა მკვიდრი განგებად მეფობისა, რომელიც დამორჩილებულ არს შენდა, თუ არა სამეფო ესე განუდგეს ნებასა მეფობისა შენისასა და ერჩდეს სულთანსა საბერძნეთისასა და აღმოსავლეთისასა.“ შაჰი, რომ არ დაკარგოს გავლენა კახეთზე, ჰგზავნის თეიმურაზს კახეთში იმ მოსაზრებით, რომ შემდეგში მაიც მაგიერს გადუხდის კახელებს.

ქართლაც, მალე შაჰი დიდის ჯარით მოვიდა და, განჯაში დაბანაკებულმა, „მიავლინა მოციქულნი და სთხოვა წინდი და წარუგზავნა თეიმურაზ ერთი ძეთა თვისთაგანი, ჰსთხოვა კვალად წინდი და წარუგზავნა თეიმურაზ მეორეცა, შეჰსძინა კვალად მესამედ ყეენმან და ითხოვა წინდი და წარუგზავნა დედაჲ თვისი.“ დედა გაგზავნა მეფემან დასაწყნარებლად შაჰისა, რომელიც უმეტეს განძვინდა, ტყვენი გაგზავნა სპარსეთში და თვითონ წამოვიდა კახეთის ასაოხრებლად. კახეთს დაადგა საშინელი წამება. თეიმურაზი გაიქცა იმერეთად და სპარსთა აღაოხრეს სოფელ-ქალაქნი, მოსწყვიდნეს ეპისკოპოს-მღვდელ-დიაკონნი, გაქლიტეს მრავალნი ქრისტიანენი, პირქვე დასცეს ეკკლესიანი და მრავალი ხალხი აჰყარეს და გადაასახლეს სპარსეთში, სადაც ძის ძენი ქეთევანისანი საჭურის ჰყვნეს და ქეთევანიცა უარ-ყოფისათვის მაჰმადიანობისა აწამეს: „მოვიდეს უკვე მტარვალნი იგი დედოფლისად, თანა მექონნი მრავალნაკვეთთა რკინათანი, აღატყინეს ცეცხლი და შთაყარნეს მას შინა რკინანი განხურვებად... განჭიმნეს ხელნი და მაჯანი, გლახაკთა გამომზრდელნი... დაჰგლიჯნეს მარწუხთა მიმართ ძუძუნი და დასდვეს წყლულთა მათ ზედა საჯნი, ლურსმანნი იყვნეს მრავალნი ქვეშე წმიდისა და მათ ზედა განრთხმულ-იყო და ზედაცა დაჰყარნეს იგინივე მრავალნი... განავლეს მკერდით ზურგამდე შამფური... ჯაჭვცა შემოარტყეს... ბარნი შემოსდვეს და აღმოახეთქეს თხემი... ქვაბი რვალისა დაჰსდგეს განხურვებული თავსა ზედა... სხეული წმიდისა დაწურვილი ძვირად შთააგდეს მწვირეთა შინა... საჭმელად ძაღლთა და მხეცთა. იქვე დასაფლავებული მისი სხეულის ნახევარი, წლის თავზე იტალიანელთა მონაზონთა მოართვეს თეიმურაზსა და მანცა ქართლ-კახეთის სამღვდელოებითურთ დიდის პატივით დაასაფლავა ალავერდის სობოროს ტრაპეზსა ქვეშე *). დღეობად წმიდანისა დაინიშნა დღე აღსრულებისა მისისა 13 სეკტემბერი. ეწამა *) 1624 წელსა (ვახუშტი).

მეფეთა და წარჩინებულთა თავადთა გვარში იყვნენ აგრეთვე მრავალნი, რომელნიც ბერად შედიოდნენ და თავის კეთილ-გონიერებით და უმწიკვლო ქრისტიანებრივის ცხოვრებით მაგალითს აძლევდენ მტერთა და მტარვალთაგან შევიწროებულ ქრისტიანეთა. ამგვარნი პირნი იყვნენ: მეფის ძე იმერეთის სამეფოისა სიმონი, შემდეგში ბიჭვინტის ეპისკოპოსი, კათოლიკოსი აფხაზეთისა და იმერეთისა მალაქია აბაშიძე, გენათის ეპისკოპოსი მელქისედეკი, ძე მეფის ძისა ბაგრატისა, მეფის ძე დავითი, რომელიც ბერად შედგა, მეფის ძე გიორგი, რომელსაც ბერობაში ერქვა გერასიმე, მეფის დავითის ძმა ბაგრატი, ბერობაში ბარნაბათ წოდებული, მეფე ქართლისა გიორგი, რომელიც სპარსელებმა მოსწამლეს, რადგან მან არ ირწმუნა მაჰმადი, მეფე სიმონი, რომელიც მოსწამლეს ოსმალთა სტამბულში, წამებული მღვდელი მანგლისისა თეოდორე და სხვანი.

მოსე ჯანაშვილი.

## არხეოლოგიური ცნობები

### ცნობა ეგვიპტელებზედ.

### III

რაც ფინიკელებზედ ვსთქვით, ისვე შეგვიძლია ეგვიპტელებზედ ვსთქვათ; 2100 წლის წინად ქრისტემდე გაშენდა აფრიკა ქამის 4 შვილისგან. ქანანისა იყვნენ ფინიკელნი და მათი მეზობელი ეგომები. ქუშის შთამომავალნი ეთიოპელები და მახლო-

*) ეს ქრისტეს სძალი, იასპ მჭკრვალი ლალი,
არ ნათელ მცხრალი, არ ყვავილ ფერით მზრალი,
აქვს საღმრთო ალი, ვითა ცხოველი წყალი,
გული უძს სალი, მით დასცა მძლავრი მწყრალი;
ამას იქმს ქალი, ბუნებით ჭირთა მკრთალი.
ანტონ კათოლიკოზი.
თხემსა ლამაზს ჰყოფს, სიაკი ცეცხლ-მსროლელი,
ქედს ზედ-სადგარი, მანიაკ საუკვდავოდ,
ძუძუთა საჯნი, ნაბერწყალ მკლთოლვარენი,
გულს ბარი, წელსა ჯაჭვ განცხელებული,
მუსკულთ მარწუხნი, შამფურნი მხურვალენი.
. . . . . . . . . . . . . . . . . . . .
ჰკახენ ქეთევანს, შესაბამ სიძე სძლობის.

*) ცხოვრება ამა წმიდანისა, დაწერილი ქართულად 1833 წ. გამოცემულ იქმნა პარიჟში. ქეთევანის წამების მხილველნი სხვათა შორის, იყვნენ კათოლიკთა ბერნი. წამება მისი აგრეთვე ლექსად აღუწერია დიმ. ბაგრატიონს და მეფე თეიმურაზს.

ბელნი მათნი; ფუდისაგან ლიბის მზაროსანი. ხოლო მესტრემისაგან ეგვიპტელები ჩამოვიდნენ, მათ გარეშეთაგან ეწოდა ეგვიპტეს მისირი. ესენი ნელ-ნელა განძლიერდნენ და იწყეს ძლიერი ხელმწიფობა აფრიკის და აზიის მცხოვრებლებზედ.

ეს ქვეყანა სძევს აფრიკის აღმოსავლის ჩრდილოდ, აღმოსავლით აქვს კლდოვანი არაბია და წითელი ზღვა, დასავლით ლიბიეთის უდაბნო, სამხრეთით ეფოპიის ქვეყანა და ჩრდილოდ ხმელთა შუა ზღვა. ეს ქვეყანა შეიცავს 6000 ოთხკუთხიან მილსა და ამოსავლის და დასავლის მთებ შუაა მონწყვდეული. შუა მოუდის ნილის მდინარე სამხრეთით ეთიოპიის მთით გიშ სოფლის მახლობლად გამოდის ნუბიის ქვეყანას, იქიდგან შემოდის ეგვიპტეში; რა დაუახლოვდება კერკასორს, იყოფება შვიდ ტოტად და დიმიადთან და როსეტთან სამკუთხედ ტელდას შეადგენენ და 112 გეოგრაფიულ მილის მიმდინარეობის შემდგომ ერთვის ხმელთა-შუა ზღვასა!

ეგვიპტე სამ ნაწილად იყოფება: ზემო ეგვიპტე, შუა ეგვიპტე და ქვემო ეგვიპტე. ზემო ეგვიპტეში არის ჩინებულ ქალაქთ ნაოხრები: ნოამონი ანუ დიოსპოლი (თებექი), ერმონთშაითისი, ღადოპოლი, აპულოპოლი, კლიტა და სხვაც. შუა ეგვიპტეს კლდეებში გამოკვეთილნი არიან: დარნები, ქვაბები, გვირაბები და სახლ-სამარენი მკედართა; სადაც მრავალი მუმიებია 3000 წლის აქეთ. ჩინებული ქალაქია ამ ნაწილში მემფისი. ქვემო ეგვიპტეში ზოანი ანუ ტაანი, სადაც მოსე წწყლნ. სასწაულები ჰქმნა, საისი, ონი (ზის ქალაქი), პელუსიონი და კანოპი, უფრო ჩინებული იყო გესემი მაღლობით და წმინდა ჰაერით, რომელიც იყო ნაწილი რამესისა (ხორამზისა) და სხვაც.

ესირველი მეფე სჩანს ბუსირი, თებექის ამგებელი, გარდა ამისა ჩინებული ოსმანდი, რომელმაც საწიგნე დაარსა, რომლის საფლავის ქვაზედ ანიშნულია მზის მოქცევა და თთვეები, უკორი, რომელმაც მემფისი გააშენა. ხვარამზემ — რამესია, მერისმან — მერისის ტბის საგუბარი, სეზოზტრი და სხვ.

ესმათი სამოქალაქო განწყობილება ექვსად იყო განყოფილი: ა, ქურმები იყვნენ, ამათ გარდა კერპთმსახურებსა ვალად ჰქონდათ ყოველი სამეცნიერო საგნები მიღებული, მწერლობაში ხმარობდნენ სახიან ასოებსა თვითოეულ სიტყვის გამომთქმელად, როგორც მზეს, მთვარეს, ვარსკვლავთა, კაცთა, პირუტყვთა და მფრინველთ გამომთქმელად იხატებოდა მათი სახენი. მკურნალობა, მსაჯულობა, არხიდოკტორობა, მეფეთ სამსახური სრულ ხელთ ჰქონდათ; ბ, წოდებაში იყვნენ სამხედრო პირნი: ამათ თვითოეულს ჰქონდა 12 დღიური სახნავ-სათესი მიწა *), გ, წოდებისა იყვნენ ხელოსანნი, ვაჭრები, მუშანი, რომელნიც მხედართაგან ყანა ჭალოს პირს ყიდულობდნენ და ეგრედ ამუშავებდნენ მიწასა. თვითოეულ ხელოსანთ არ შეეძლოთ მეორე ხელობის მუშაობა და არცარა სხვა სამსახურში შესვლა; დ, მენავეთ მწყობრნი ირიცხებოდნენ მგზავრულის აღებ-მიმცემობით, ე, მეცხვარენი და, ვ, მეღორენი იყვნენ.

ესმათ თავითგანვე სწამდათ სულის უკვდავება და სიკვდილის შემდგომ სულთა ცვალება. ამათგან მიიღო წვალება პითაგორ ფილოსოფოსმან, რომელიც ამბობდა: „ერთხელ მე მეფე ვიყავ, მერმე, რა მოვჰკვდი, ჩემი სული მფრინველში შევიდა, შემდგომ პირუტყვში და ახლა ჩემშია, ამის გამო ყოველ ფრინველთ, პირუტყვთ, ქვემძრომთ თუ მცენართ ემერთისავით პატივს-ცემდნენ. აგრეთვე ცის მნათობთაცა! ოხირი მზე იყო, პორო, გავაჟკაცებული მზე, ისისი, მთვარე, ბუბასტ ახალი მთვარე, თოთ (ჰერმესი) ღმერთი მეცნიერებისა, ხელოსნობისა და ვაჭრობისა. ეფესტო, ცეცხლისა, ღადო, (ქვეყანა), ნაცვლად ბერძენთ დემეტრისა, აპისი კურო (მოზვერი) ნიშნად მისი შესაწირავისა!

ეგვიპტელებს დასაწყისშივე მოუხდათ გარდაკიდება ქვეყნის მფლობელობაზედ თავიანთ მოგვარტომე ფინიკელებთან, იწყეს მათ ხან-გრძლივი შეუღებელი ბრძოლანი ზღვა-ხმელეთით. ამის გამო გონიერ პირთ მოსწყინდათ ცხოერება ამ ქვეყნებში და საბერძნეთში გარდასახლდნენ, როგორც ეგვიპტით ეგიალე 2000, რომელმაც ააშენა სიკიონი, კეკროპსმან ააგო 1643, ათენი, დანაოსმან 1572, არგოს ქალაქი და ზოგიერთი ხელოსნობა და მიწის შემუშავება შეიტანა ბერძნებში. ფინიკითგან გარდაიდნენ ინაქოსი 1956. ქმამ არგოს ქალაქი ააშენა და მისმა დამ ეფვირემ კორინთოსი. ლელექსმან 1742, პელოპონესში სპარტა გააშენა. კადმოს ფინიკელმან 1580 ბიოკეტიაში თების ქალაქი განამშვენირა, წერა-კითხვა და მჭედლობა შეიტანა საბერძნეთში...

ესმ ეპოქებში უნდა იყვნენ კაპადუკელნი ჩვენს მხარეს გარდმოსახლებულნი ხვარა-მზისაგან ფინიკელების სამტროდ. 1920, აბრაამსა პალესტინში დაზედნენ ფილისტიმელნი კასლონთ განაყოფნი. ამ კასლონებითგან ერთი ნაწილი დაესახლა კაფთორს **). მით ეწოდათ კაპადუკელნი და მეორე ნაწილი კოლ-

*) ერთი დღიური 100 წყრთა თუ წყდა იყო ფრანგული 21½ თითი.

**) Heradot. II, 104. Disd sic. I. 28, 55. Ammian. Mark. XXII. 22. Strabon. 1. 3. კოლხიდელთ ეგვიპტელების მოთგმითგან ამბობენ.

ხიდასა, ამას სამღთო წერილიც გვიმტკიცებს: *) „ხოლო მესრაიმ შენა ხასლომი, ამათგან განვიდეს ფილისტიმეს და კავთორიმნის. ა, ნეშტთა, 14, გ.—“ არა ისრაელ აღმოვიყვანე უცხო ტომნი ქვეყნისაგან ეგვიპტისა კაპადუკიად? ამოსია, 7. გ. ესენი არა თუ მარტო კაპადუკიად და კოლხიდად განმრავლდენ, არამედ არაზის მდინარის მიღმა-მოღმა მიდამონიც გაეშენეს. ამის გამო მოსე წინასწარმეტყველი შექმნათა აღწყერის დროს გეონ (არაზის) მდინარეს აძლევს გზას ეთიოპის ქვეყანაში; თქმა არის, რომ როცა მოსე სამღთო წერილს სწერდა, იმ დროს კიდევ იყვნენ ჩვენში ეგვიპტელები მფლობელობით გაძლიერებულნი. ამის გამო არა მარტო ეგვიპტური გეოგრაფიული სახელწოდებები მარტო დაედვა ჩვენს სამესხეთო საქართველოს ქალაქ-დაბებსა, არამედ იგივე ჩვენი ხუცური ნაწერის ფორმაცა გარდიღეს ეთიოპელთა და დღეს, რომ ეხედამთ დიდ მსგავსებასა ჩვენს მთავრულს და მათ მთავრულს ასოებში, გვიკვირს დიდათ!.. ასრევე მათი და ჩვენიც ყოფა-ქცევა ერთი მეორეში გარდასულ-გარდმოსულია.

ჯაშა სადამე სეზოსტრის გამოლაშკრება 1350 წ. ქ. უკანასკნელ მფლობელობად უნდა ესთქვათ, რომელსაც ჩაუყენებია დროებითად თავის მხედრთბა სამეგრელოდ და მეოტის ზღვის ნაპირებს დონის მდინარემდის. 9 წლის მფლობელობის შემდგომ, რა მიბრუნდა სეზოსტრი ეგვიპტედ, დასაცხრომლად განდგომილებისა, დიდი წილი მისი მხედრობა განიდევნა და ამოწყდა ადგილობრივ ტომებისაგან და დანაშთთაც სდევნიდნენ ამაზონები, რომელნიც იყვნენ დედაკაცთაგან შემდგარნი შეთქმულნი წრენი, სამხედრო ვარჯისში კარგად გამოცდილნი, წყობრ-წყობრად იყვნენ შემაგრებულნი კავკასიის სხვა-და-სხვა ხევობებში, რომლის გამოც ეწოდათ ჩვენ წინაპართაგან ქალთ-სამხედრო იმერეთსა!

ვინმე მესხი.

(გაგრძელება იქნება).

## ბიოგრაფიული ცნობა.

### მიტროპოლიტი ვარლაამი, პირველი ექსარხოსი საქართველოისა.

ჩიტროპოლიტი ვარლაამი, პირველი ექსარხოსი საქართველოისა, იყო გვარად ქსნის ერისთავი. პირველ დაწყებითი სწავლა მან მიიღო თავის მამის სახლში—ქართლში; მასუკან მას ეხედავთ თფილისში ქათალიკოზ ანტონ I მოწაფეთა რიცხვში. მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში, როდესაც ანტონი I განდევნილ იქმნა საქართველოდგან რუსეთში, მაშინ მას თან გაჰყვნენ მისი მოწაფენიც; ამათ რიცხვში იყო ვარლაამიც. ვგონებთ, ეს უკანასკნელი ანტონ ქათალიკოზის რჩევით, სასულიერო აკადემიაში უნდა შესულიყო. 1763 წ., ირაკლი II თხოვნით, ანტონი I საქართველოში დაბრუნდა ისევ თავის თანამდებობაზე; ანტონმა ვარლაამიც თან წამოიყვანა. რუსეთიდგან დაბრუნების შემდეგ, ვარლაამი მალე ეკურთხა არქიმანდრიტად და ბოლოს ეპისკოპოზად. 1811 წ. ის დაინიშნა ექსარხოსად საქართველოში, სადაც განაგებდა 1816 წ. მიტროპოლიტი ვარლაამი იყო ერთი განვითარებულთაგანი, შესანიშნავი მქადაგებელი და მასთანავე ძრიელ დახელოვნებული პირი საღმრთო წერილში. თუ რამდენად განვითარებული ყოფილა ის საღმრთო წერილში, ამას ამტკიცებენ მრავალნი ტექსტები, რომლებიც ძრიელ თავისუფლად, თავის დროზედ და თავის ალაგას მოყვანილნი არიან მის ქადაგებებში. სხვათა შორის ვარლაამმა დაგვიტოვა შემდეგი თხუზულებანი: 1, ლექსი, მირიან ბატონის შვილთან მიწერილი, 2, მილოცვა მეფე ირაკლისადმი, 3, გეოგრაფიული ატლასი, 4, ქართული გრამატიკა, 5, სახელმძღვანელო არითმეტიკისა, 6, ქადაგებანი. ზოგიერთი მ. ვარლაამის თხუზულებანი დაბეჭდილნი არიან ხუცურად მისივე სტამბაში, რომელიც მან დაარსა ქ. პეტერბურღში ამ საუკუნის დასაწყისში, როდესაც გადაყვანილ იქმნა რუსეთში.

ალ. ზულისაშვილი.

*) და მესრაიმ შენა ხასლო რომელნი (კასლონნი), ხოლო მისგან გამოვიდნენ ფილისტმელნი და ლაგთორიმნი.— დე კაპადუკნი იგი რომელ გამოვიდეს კაპადუკიად, მოხრნეს იგინი და დაეშენნეს იგინი მათ წილ. გამოს. ი. 14 ბ. სჯულოთ ბ. 24- გ.

## სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

Იმერეთის ეპარხიის სამღვდელოების შეკრებილება, როგორც ეხლა ნამდვილად შევიტყვეთ, დანიშნულია 15 ნოემბრის რიცხვისათვის.

***

Რიგნის მაღაზიის პატრონი ბ. გრიქუროვი გვწერს ჩვენ, რომ მის წიგნის მაღაზიაში საბა-სულხან Ორბელიანის ქართული ლექსიკონები, რომელნიც სხვა ყველა ადგილებზე ოთხ-ოთხ მანეთად იყიდებიან, მის მაღაზიაში იყიდება სამ მანეთად. Ამასთანავე განაცხადებს, რომ მის წიგნის მაღაზიაში ისყიდება აგრეთვე ბ. ᲩᲣბინოვის ქართულ-ფრანცუზულ და რუსული ლექსიკონი ექვს მანეთად.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე.

# სწავლა

პირველი საქართველოს ექსარხოსის არხიეპისკოპოსის ვარლაამის მიერ თქმული წმიდასა პასქის მწუხრსა ზედა.

ჩვ ვდღესასწაულობთ, საყვარელნო მსმენელნო, დღესა ამას ქრისტეს მაცხოვრისა ჩვენისა აღდგომისასა. ვდღესასწაულობთ და განვსცხრებით ამისთვის, ვინაიდგან დღესა ამას შინა აღდგომილმან უფალმან განგვიღო კარი ზეცათა სასუფეველისა, სადაცა არს სიხარული საუკუნო, ნუგეშინის ცემა დაუსრულებელი, დიდება გამოუთქმელი, სიმდიდრე დაულევნელი, ცხოვრება ანგელოსებრივი და საღმრთო. დღეს აღდგომილმან უფალმან მოგვანიჭა ჩვენ საცხოვრებელად სამოთხე ზეციერი, სადაცა არა არს სიკვდილი, რომელმან განგვაშოროს ცხოვრებასა საუკუნოსა; არა არს სნეულება, რომელმან შეგვაშინოს ჩვენ, არა არს მოხუცებულება, რომელმან მოგვაუძლუროს ჩვენ; არა არს მუნ უბედურება, რომელმან განგვაშოროს ჩვენ; არა არს მტერობა და შური, რომელმან განუსვენებელ გვყოს ჩვენ. დღესა ამას შინა აღდგომითა თვისითა უფალმან იესო ქრისტემან მოგვანიჭა ჩვენ საუკუნო მემკვიდრეობა ზეციერისა მის ქვეყანისა, რომელიცა აღსავსე არს საღმრთოითა დიდებითა; ამისთვის ჩვენ თანამდებთ ვართ დღესა ამას ქმნულსა ღვთისაგან, მხიარულებად და განცხრომად. გარნა ცუდ იქმნების აწინდელი სიხარული ჩვენი და სხვაცა ყოველივე, უკეთუ არ ვისწრაფებთ აღსრულებად კეთილთა მათ საქმეთა, რომლითაცა მიწევნილ ვიქნებით მას სანეტაროსა საცხოვრებელსა შინა, რომელიცა იესო ქრისტემან განგვიმზადა ჩვენ აღდგომითა თვისითა.

ვგონებ არავის ჩვენგანსა ექმნების ესოდენ განფიცხებული გონება, რომელ არა ჰსურდეს დამკვიდრება საუკუნესა მას დიდებასა შინა საღმრთოსა, და დაუსრულებელსა მას სიხარულსა შინა ზეციერსა! ჩვენ ყოვლის სახით განცხადებულად ვხედავთ, რაოდენადაცა ამაო არს ჟამიერი ესე ცხოვრება კაცობრივი; ჩვენ ყოველსა ჟამსა ველით დასასრულსა ცხოვრებისა ჩვენისასა, ყოველსა ჟამსა ვხედავთ, რომელ მოახლებულ-არს დასრულება მყოფობისა ჩვენისა სოფელსა ამას შინა. და ამის გამო ვუწყით, რომელ მსწრაფლიად დაუტევებთ სოფელსა ამას და ყოველსა ამაოსა კეთილობასა მისსა, ამისთვის, ვითარ არა ვიქმნებით ჩვენ მოსურნე, რათა მივიღოთ ნაცვლად სიკვდილისა ადგილი იგი, აღდგომითა ქრისტესითა ჩვენთვის განმზადებული, რომელიცა აღსავსე არს დიდებითა საღმრთოთა, სიხარულითა გამოუთქმელითა და ნეტარებითა დაუსრულებელითა. გარნა არა საკმაო არს მხოლოდ სურვილი ამისი, არამედ თანამდებ ვართ, რათა ვსცნათ, თუ ვითარითა სახითა შემძლებელ ვიქმნებით მიწევნად საღმრთოსა მას და ზეციერსა შინა საცხოვრებელსა, რომელიცა განმზადებულ არს ყოველთა მორწმუნეთა კაცთათვის აღდგომითა იესო ქრისტესითა, და ამისთვის მოვაქციოთ, კეთილ-მსახურნო მსმენელნო, სასმენელნი ჩვენი შემდგომისა არს სიტყვისადმი:

ოდეს დღემან ამან, ესე იგი, დღემან ქრისტეს აღდგომისამან განვლო და მოიწია ღამე, რომელსაცა შინა ნივთნი უხილავ იქმნებიან სახედველთაგან კაცობრივთა, მაშინ აღდგომილი უფალი იესო შესრულ იქმნა სახლსა მას შინა კართა ხშულსა, „სადაცა იყვნენ მოწაფენი მისნი შეკრებულ“ და დაჰსდგა წინაშე მათსა; ამით თანამდებ ვართ, რათა ვისწაოთ, რომელ იგი აწცა განსაკუთრებით მოვალს უხილავად მათ მორწმუნეთადმი, რომელთაცა ექმნებისთ დახშულად კარნი სახლისა მის სულისა თვისისანი, იგი უხილავად და საიდუმლოობით არს აწცა ჩვენ შორის და ნებავს შემოსვლად ჩვენგანისა მის შორის, რომელსაცა ექმნების დახშულად კარნი ტაძრისა მის სულისა თვისისანი, ესე იგი, სასმენელნი; სახედველნი, ბაგენი და სხვანიცა საგრძნობელნი ხორციელნი. და ესრეთ, საყვარელნო ქრისტიანენო, უკეთუ გსურს დამკვიდრებად სასუფეველი ღვთისა; უკეთუ გნებავს მიღებად ამის უძვირფასესისა საუნჯისა, დაჰხშენ კარნი სახლისა მის სულისა შენისანი, ესე იგი, საგრძნობელნი, ვითარცა სულიერნი, ესრეთვე ხორციელნიცა, და მათით ნუ ჰსცნობ ესე ვითართა ნივთთა, რომელთაგანცა შემოვლენ სულსა შინა შენსა ვნებანი შემამწიკვლებელნი მისნი, ესე ვითარნი, ვითარცა ესე, ვეცხლის მოყვარება, ანგარება, უსამართლოება და ყოველნი მსგავსნი ამათნი ვნებანი მომკვლელნი სულისა კაცობრი-

ვისანი სიკვდილითა საუკუნოთა. დაჰხშენ თვალნი შენნი, რათა მათ არა იხილონ იგინი, რომელთაგანცა შემოვალნ სულსა შინა შენსა ცოდვა (მომაკვდავი) მომაკვდინებელი მისი, ესე იგი, გულისთქმა ბოროტი, რომელიცა, სიტყვისაებრ მოციქულისა იაკობისა, ჰშობს ცოდვასა და ცოდვა ჰშობს სიკვდილსა საუკუნოსა: ,,გულის-თქმა იგი მიუდგის და ჰშვის ცოდვა, და ცოდვა იგი სრულ იქმნის და ჰშვის სიკვდილი" (იაკ. თავი ა—იე). ესე ვითარითა უკრძალველითა მიმხედველობითა პირველთა მშობელთა ჩვენთათა, ჩვენ ყოველთა მოვიღეთ ხრწნილება და თვით სიკვდილი. საზოგადომან დედამან ჩვენმან ევამ მიხედა თვალითა თვისითა ხესა მას, რომლისადმიცა შეხება დაყენებულ იყო, და ამის გამო მოცთუნებულმან კეთილ სახილველობასა მისსა ზედა, სრულებით განიზრახა წინააღმდგომობითა ღმერთისათა ჭამად ნაყოფისა მისგან და ამით განხრწნილ იყო სული თვისი ცოდვითა სასიკვდინოთა და ჩვენცა ყოველნი შთამომავალნი მისგან მივეცენით წყევასა და სიკვდილსა, ვითარცა მოწმობს საღმრთო წერილი: ,,და იხილა დედაკაცმან, რამეთუ კეთილ არს ხისა მის ჭამა, რამეთუ სათნო არს თვალთა აღხილვა, და შვენიერ განცდად, და მიიღო დედაკაცმან ნაყოფისა მისგანი და ჰჭამა, და ჰსცა ქმარსა თვისსა, მისთანავე და ჰსჭამეს (შექმ. თავი—გ—ვ). ამისთვის (ღ) თვით ღვთისაგან შთავლდომილ იქმნა წყევასა ქვეშე და შთამამავლობით თვისით სრულებით მიეცა სიკვდილსა; მისგამო ჩვენცა შეგვემოსა ხორცი განხრწნადი, აღსავსე ყოვლითა მწუხარებითა. გარნა, ქრისტიანენო, ნუ შეშინებულ ვიქმნებით ჩვენ საგლოველსა ამას შთამამავლობითისა წყევისა და მისთანა შეერთებულისა სიკვდილისაგან. უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან ივნო ჩვენთვის, აღსდგა მკვდრეთით და აღდგომითა თვისითა განგვწმიდა, განგვაახლა, განგვათავისუფლა ჩვენ ყოვლისაგან ცოდვისა, პირველთა მშობელთასა და ესე ვითარითა სახითა განგვამზადა ჩვენ სასუფეველისათვის ზეციერისა.

და ესრეთ, აწ ესე აღდგომილი მაცხოვარი ჩვენი საიდუმლოდ მდგომარებს ჩვენ შორის, და სურს სახლსა შინა სულისა ჩვენისასა შემოსვლად, უკეთუ კარნი მისნი მტკიცედ იქმნებიან დახშულ მაცთუნებლობათა და სიბოროტეთათვის ამის სოფლისათა. ჰსურს რათა განგვაცხოველოს ჩვენ მომკვდარნი ცოდვათაგან და აღგვიყვანოს ზეცად და მოგვანიჭოს მემკვიდრეობა საუკუნოსა მის ნეტარებისა; ნუ წინა აღუდგებით ნებასა აღდგომილისა უფლისასა. დავჰხშათ კარნი სულისა ჩვენისანი, ესე იგი, ვითარცა თვალნი, ესრეთვე სასმენელნიცა ჩვენნი, და ნუ ვისმენთ ნურასოდეს ესე ვითართა სიტყვათა, რომელნიცა შემძლებელ არიან, რათა აღაშფოთონ, დააბნელონ და დანჰსთქან სული ჩვენი საუკუნოდ. განვეშორნეთ კაცთა უღმრთოთა, განრყვნილთა, მოყვარეთა სიცრუისათა, მაცთურთა, პირმოთნეთა, რომელნიცა შემძლებელ იქნებიან შერყევად და მოკვდინებადცა სულთა. ადამმან უსმინა მომაცთუნებელსა თვისსა ცოლსა, და უკვდავებისაგან მიეცა სიკვდილსა; განხრწნასა და უჩინოებასა, ვითარცა მოუთხრობს მისთვის მოსე აღმწერელი შექმნათა: ,,ჰრქვა უფალმან ღმერთმან ადამს ე რ. ისმინე შენ ხმა ცოლისა შენისა და ჰსჭამე, წყეულ იყავნ ქვეყანა საქმეთა შინა შენთა; ოფლითა პირისა შენისათა ჰსჭამდე პურსა შენსა ვიდრე მიქცევად შენდა მიწად რომლისაგანცა მოგვიყანე შენ, რამეთუ მიწა ხარ, და მიწადცა მიხვიდე შენ. (შექმ. თავი გ—იზ—ით). ესე ვითარითა სახითა ადამ მსმენელი მომაცთუნებელისა მის ხმისა ცოლისა თვისისა, მოცთუნებულ იქმნა, და უკდავი, არა თუ თვით იქმნა მოკვდავად, უხრწნელი განხრწნილად. ზეციერი მიწიერად, არამედ ჩვენცა ყოველნი მისგამო ვითარცა მისგან შთამომავალნი შთაცვივნულ — ვიქმენით მასვე ცვლილებასა შინა და მოკლებასა კეთილობათასა. ამისთვის თანამდებვართ ჩვენ, რათა დავჰხშათ საგრძნობელი ესე ჩვენი, კარი ესე სულისა ჩვენისა, რომელ არა ვისმინოთ და არა ვჰსცნათ ამაონი იგი და წარმწყმენდელნი სიტყვანი რომელთაგანცა დაინთქმიან საუკუნოდ სულნი კაცთანი, რათა არა მივეცნეთ კვალადაცა სიკვდილსა საუკუნოსა; და რათა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან მხილველმან კეთილისა კრძალულებისა და სარწმუნოებისა ჩვენისამან ინებოს მადლითა თვისითა შემოსვლად ჩვენ შორის და გვყოს ჩვენ მოქალაქედ ნეტარად, ქალაქისა მის საღმრთოსად.

აღდგომილი უფალი იესო უხილავად მდგომარე არს თქვენ შორის და სურს, რათა შემოვიდეს იგი სულსა შინა თქვენსა; და თქვენცა, საყვარელნო განბანილნო და განახლებულნო სისხლითა მისითა, დაჰხშენით არა თუ მხოლოდ თვალნი თქვენნი, რათა არა იხილოთ, არა თუ მხოლოდ ყურნი თქვენნი, რათა არა ისმინოთ,

არამედ თვით ბაგენიცა თქვენნი, რათა არა იმეტყველოთ სიტყვანი ამაონი; დაჭხშენით ბაგენი თქვენნი, რათა არა წარმოჭსთქვათ ,,გიობანი'', განკითხვანი და ცილის წამებანი, და რათა არა აღმოსთქვათ ისე ვითარნი სიტყვანი, რომელნიცა მსგავსად ,,მკვდრისა'' ორპირისა მახვილისა მოგაკვდინებსთ თქვენცა და მოყვასთაცა თქვენთა, ანუ თუ მსგავსად სიკვდილ შემოსილისა ,,სამარალისა'' განგხრწნიან თქვენცა და მოყვასთაცა თქვენთა. მიხედეთ წინასწარმეტყველსა მეფესა დავითს მვედრებელსა Uვთისადმი და მღაღადებელსა: ,,დასდევ, Oფალო, საცა პირსა ჩემსა, და კარი ძნელი ბაგეთა ჩემთა. (ფსალ. რმ. რიც. გ.) ესრეთ უკვე ყოველნი ქრისტიანენი თანამდებ არიან, რათა ილოცვიდენ და ჭსთხოვდენ Uმერთსა სამარადისოდ შეწევნასა დაცვისათვის ბაგეთა თვისთასა; ვინაითგან სიტყვათაგან თვისთა კაცი განმართლდების, და დაისჯებისცა, ვითარცა თვით Oფალი იტყვის ესრეთ: სიტყვათაგან შენთა განმართლდე, და სიტყვათა შენთაგან დაისაჯო. (მათე, თავი იბ, რიცხ. ლზ).

Uსე ვითარითა სახითა ჩვენ მედდესასწაულეთა დღისა ამის აღდგომისათა, და მსურველთა მიწევნად საუკუნოსა შინა დიდებასა, ყოვლითურთ თანაგვარს დაცვად სულთა ჩვენთა ესრეთ, რათა საგრძნობელთაგან, რომელნიცა არიან კარნი ტაძრისა მისისანი, არ შემოსრულ იქმნენ შინაგან ჩვენსა, რომელნიმე დამაბნელებელნი, და მომაკვდინებელნი განზრახვანი. ვინაიდგან ვეწყოთ თანამდებობა ესე ჩვენი, და ესრეთვე სიძნელეცა აღსრულებად ამისა, ამისთვის ვევედრნეთ და ჭსთხოვოთ აღდგომილსა Iესოს, რათა ვითარცა მან ოდესმე შესრულმან მოწაფეთადმი თვისთა მიანიჭა მათ მადლი ყოვლად წმიდისა სულისა, ესრეთ აწცა მოგვანიჭოს ჩვენცა იგივე. ვევედრნეთ მას, რათა თვით მან დაიცვას და საღმრთოთა ძალითა თვისითა განამტკიცოს საგრძნობელნი ჩვენნი, რათა ჩვენ ვხედვიდეთ, ვისმენდეთ და ვმეტყველებდეთ მხოლოდ მას, რომელიცა განაცხოველებს სულსა და განვეშორებოდეთ მათგან, რომელნიცა მოაკვდინებენ მას. და რათა ჩვენ მყოფნი განათლებულად მადლითა ყოვლად წმიდისა სულისათა ღირს ვიქმენით და მივიღოთ სახლსა შინა სულისა ჩვენისასა, აღდგომილი იგი Oფალი Iესო, რომელიცა გვუოფს ჩვენ მემკვიდრედ საუკუნოსა დიდებისა თვისად, და მემკვიდრედ ზეციერისა მის სამეფოსად. ამინ.

## მესამე ფსალმუნი დავითისა.

Oფალო Uმერთო, რისთვის განმრავლდნენ
ჩემი ცხოვრების მაწუხებელნი,
და მრავალნიცა ჩემზედა აღსდგნენ
მოსაკვლელადა გაჯავრებულნი.

Uევრნიც ამბობენ სიხარულითა,
რომ Uმერთი იმას არ დაიფარავს;
მაგრამ მე ველი შველას ზეციოთა,
Oფლის იმედით გული მიდელავს.

Oფალო შენ ხარ ჩემი მშველელი,
ჩემი სიცოცხლის ქვეუნად დიდება,
თავისა ჩემის ასამაღლელი
მე შენგნით შველა მეიმედება.

Kღვაღე პირი, ვილოცე მხურვლად
და ჭსთხოვე Oფალს მაღლით შეწევნა,
მან შეისმინა ეს ლოცვა მსწრაფლად
და მითხრა: ნურვის ეშინის შენა.

Jადგან ეს მითხრა, არ მეშინოდა,
უფიქრელადა მე ვიძინებდი;
ძილში Oფლისა ძალი მფარავდა
და უდარდელად განვიღვიძებდი.

Kღსდეგ, Oფალო, და მე მაცხოვნე
ერთი ცოდვილი მონათაგანი
და გთხოვ, მეუფევ, სრულად შემესრნე
ჩემი მტერებისა ულმრთო ძალანი.

Oფლისა არის ჩვენი ცხოვრება,
არ გეგონოთ, თუ ის იყოს ჩვენი.
Oფალო, მიეც შენს ერს წყალობა,
რომელზედაც არს კურთხევა შენი.

ილ. ფერაძე.

## შეწირულებანი.

Iვენ მივიღეთ ბ. ბლუაშვილისაგან ქუთაისის ციხის ტუსაღების წიგნთ საცავის სასარგებლოდ შემდეგი წიგნები: ორი ახალი აღთქმა რუსული და ქართული; ერთი დავითნი ქართული; ერთი ქართული საღმრთო ისტორია; ერთი რუსული ლოცვანი და ერთი რუსული საკითხავი წიგნი. ეს წიგნები გადაეცა ციხის მღვდელს Oქროპირ ქაჭახიძეს.

# განცხადებანი.


## დაიბეჭდენ და ისყიდებიან

თბილისის და ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში

# ქადაგებანი

## იმერეთის ეპისკოპოზის გაგრიელისა,

თქმულნი 1860—76 წლებში, ტომი პირველი, გამოცემა მესამე.

ფასი მანათ-ნახევარი

თფილისიდგან ამ წიგნის დაბარება შეიძლება ასე: Въ Тифлисъ, въ Закавказскую книжную торговлю Зах. Петр. Грикурова. ქუთაისიდგან—იმერეთის ეპისკოპოზის კანცელარიიდგან.

(10—4)

☛ დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

## საქართველოს მოკლე ისტორია

მოსე ჯანაშვილისა.

ფასი 60 კოპ.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან (Тифлисъ Михайлов. ул., № 42 Георгію Давидовичу Картвелову) დაიბარებს არა ნაკლებ 20 ეკზ., იმას წიგნი დაეთმობა 50 კაპეიკად.

ამ წიგნის დაბარება შეიძლება „მწყემსის“ რედაქციიდამაც.

მოკლე დროში წიგნი გაიგზავნება საქათველოს უმთავრეს ქალაქებში.

საქართველოს ექსარხოსის კანცელარიაში ისყიდება რუსულს ენაზე დაბეჭდილნი

## სიტყვანი და შესხმანი

ჩადალ ყოვლად უსამღვდელოესის არხიეპისკოპოსის კიშინიევისა და ხოტინსკისა, დღეს საქართველოს ექსარხოსის შავლესი. სიტყვანი და მოძღვრებანი შესდგებიან სამი ტომისაგან. პირველი ტომი არის 545; მეორე ტომი—546 და მესამე ტომი —538 კაბადონი. ფასი სამივე ტომ. ოთხი მან. და ათი შ. წიგნების დაბარება შეიძლება ზემოხსენებულ კანცელარიიდამ და „მწყემსი“-ს რედაქციიდამაც.


*Дозв. цензурою Кутаисъ, 31 Октября 1884 г.* რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ლამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა ⸗ ფერაძისა.